სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 ნოემბერი, 2025 წ.

ბრძანება № 01-12/160

ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის“**, „ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2025 წლის 01 ოქტომბრის №01-10/79 ბრძანების** (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-10/83 ბრძანებით), „ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2025 წლის 07 ნოემბრის №01-10/90 ბრძანებისა** და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 24 სექტემბრის MES 6 25 0001216374 და 2025 წლის 12 ნოემბრის MES 9 25 0001599085 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2025 წლის 01 ოქტომბრის №01-10/79** ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-10/83 ბრძანებით) საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, 2025 წლის 13 ნოემბრიდან 2025 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით **(1 თვე)** ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორებად **(ანაზღაურების გარეშე) დაშვებული იქნან**:

ა) **ხატია მახარაძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი;

ბ) **სულხან მიქელაძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი (ვადაგაგრძელებული ბსუ-ს რექტორის 19 სექტემბრის № 01-08/561 ბრძანებით);

გ) **სალომე ფუტკარაძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი.

2. სტაჟიორების სამუშაო განრიგი განისაზღვროს კონკურსანტების განაცხადებში მითითებული ცვლიანი განრიგის მიხედვით (ნახევარი განაკვეთი), იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით.

3. სტაჟიორთა ხელმძღვანელად დაინიშნოს ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი და მის მიერ განსაზღვრული დეპარტამენტის პერსონალი.

4. ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს დაევალოს არაუგვიანეს **2025 წლის 15 დეკემბრისა წარმოადგინოს** სტაჟიორების მიერ გაწეული **ერთი თვის** საქმიანობის ანგარიში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და სტაჟიორებს.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**